

## საქართველოს კანონი

### „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა დამატებების შეტანის თაობაზე

#### მუხლი 1.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 19.06.2007, მუხ. 194) შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. კანონის მე-8 მუხლის:

ა) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნორმატიული აქტით ზიანი ადგება სახელმწიფო უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, ან ეს გადაწყვეტილება იწვევს გამოუსწორებელ, მძიმე ზიანს, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს ან ბათილად სცნოს ეს ნორმატიული აქტი. ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

ბ) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. კანონის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9<sup>1</sup> პუნქტი:

„9<sup>1</sup>. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში გამოცემული ნორმატიული აქტით ზიანი ადგება სახელმწიფო უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, ან იგი იწვევს გამოუსწორებელ, მძიმე ზიანს, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს ეს გადაწყვეტილება. ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

#### მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი